გაზეთის ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. | |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, | |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, | |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, | |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, | |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, | |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, | |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, | |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, | |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, | |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, | |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, | |

# ივერია

№ 250 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 250

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



ტელეფონი № 63. წარმოდგენა № 4.

## სახაზინო თეატრი

ოთხშაბათს, 3 ნოემბერს 1904 წ.

ქართული დრამატიული დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება თავ. ალექსანდრე სუმბათაშვილის ცნობილი პიესა

**ღალატი** დრამა ლეგენდა 5 მოქმ. თარგმ. გრ. ყიფშიძისა. | ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყისი საღამოს 8 საათ.**

**მთავარ როლებს შეასრულებენ:** ნ. ჩხეიძე—ზეინაბი, ნ. გაბუნია-ცაგარლისა—ისახარ, ტასო აბაშიძე—გაიანე, ა. კარგარეთელი—რუქაია, ვ. აბაშიძე—ბესო, ვ. გუნია—ოთარ-ბეგ, ივანიძე—საბა ბერი, კ. ყიფიანი—ანანია გლახა, სვიმონიძე—დათო, ჩარკვიანი—ირაკლი, სოლეიმან ხანი—შალიკაშვილო და სხვა

ვისაც უნდა დაიკვეთოს 1905 წ.

## კალენდარი (სათვეო)

„ცოდნა“

**მიჰმართონ სოსიკო მერკვილაძეს.**

— კალენდარი ჰღირს ორ შაურად —

ვინც ერბაშად ასს ცალზე მეტს იყიდის, კალენდარი დაეთმობა

**ექვს-ექვს კაპეიკად.**

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი, № 12.

ფოსტით: მისამართი Тифлисъ. Книжный магазинъ „ЦОДНА“.

(10—2).


### ტფილისის სათავად-აზნაურო საკრებულო

შეუდგა ტფილისის გუბერნიის თავადთა და აზნაურთა გვარების საშთამომავლო წიგნების შედგენას. ამ ჟამად უკვე შედგენილია ქვემოდ ჩამოთვლილ გვარების შტონი: თავადთა აბაშიძეთა, აბხაზთა, აბამელიქოვთა, ავალოვთა, ამატუნოვთა, ამილახორთა, არღუთინსკი-დოლგორუკოვთა, ბაგრატიონ-მუხრან-ბატონთა, ბაგრატიონ-დავითიშვილთა, ბარათაშვილთა, ბებუთოვთა, ბეგთაბეგოვთა, ვახვახოვთა, ვეზიროვთა, გურამოვთა, ჯანდიერთა, ჯორჯაძეთა, ლიონიძეთა, მაღალოვთა, მელიქიშვილთა და მაჩაბელთა.

იმ პირთ, რომელნიც ეკუთვნიან ამ გვარებს და რომელთაც სურთ შეამოწმონ სინამდვილე და სისრულე საგვარეულო სიაში მოთავსებულ ცნობათა, სთხოვენ მიჰმართონ დეპუტატთა საკრებულოს (სოლოლაკის ქუჩა, № 10) შაბათობით 11—12 საათამდე.—

ამასთან ერთად საკრებულოს აზრად აქვს შეადგინოს, მცოდნე პირთა დახმარებით, ისტორია თავად-აზნაურთა გვარებისა.

ამის გამო ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი სთხოვს იმ პირთ, ვისაც მოეპოვება გუჯრები, სიგელები, წყალობის ქაღალდები და ძველი წერილები, მოგონებანი და სხვ. გადასცენ დეპუტატთა საკრებულოს, რომელიც თავის დროზე უკანვე დაუბრუნებს პატრონთ უკლებლივ.

დოკუმენტების წარმომადგენელთ მიეცემათ საკრებულოს მდივნის მიერ კვიტანცია დოკუმენტების მიღებისა; თვითონ დოკუმენტები კი დაცული იქმნება განსაკუთრებულ, ცეცხლის მხრივ უვნებელ ყუთში. (5—2)


## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**ქ. ი. ზძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. ზხერბინინა.** 1½—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**საღამოობით:**

**ზ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი.** აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 7 საათ.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აგრეთვე ყოველს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ზძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—უორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**გაგაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—დოროსმელნიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.



იბეჭდება და ნოემბერში გამოვა ახალი საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ნაკადული“

მოზრდილ და მცირე-წლოვან ყრმათათვის, თვეში სამი წიგნი—ორი მცირე წლოვანთათვის და ერთიც მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით. წლიწადი—1-ლ ნოემბრიდგან 1-ლ ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: მთელის წლით ერთად ორივე გამოცემა 5 მან., ცალკ ცალკე—3 მან. ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება თითო მანეთის გამოგზავნა.

გამომცემელი ჟურნალისა კნ. ნინო ელიზბ. ქობულოვისა.

რედაქტორები { კნ. ელის. დ. ერისთავისა. ნინო ნიკ. ზურაბიშვილისა.

**ადრესი:** Тифлисъ, Редакція «НАКАДУЛИ».


## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

—

ვის დარჩება გამარჯვება? თ-დი შირინსკი-შიხმატოვი გაზეთ «ნოვოე ვრემია»-ში ძლიერ ჰკიცხავს რუსეთის საზოგადოებას, რომელსაც სამხედრო საქმე არ გაეგება რიგიანად და ჰფიქრობს, რომ, რაკი იაპონელები იმარჯვებენ ბრძოლის ველზედ, უეჭველია ღელოც იმათ დარჩებათო. ასეთი აზრი შედეგია მხოლოდ განუსაზღვრელის სულმოკლეობისა. ვინც კი თვით ომში ნახა ჩვენი სალდათი, სრულებით სხვა რწმენა გამოიყვანა, და ეს რწმენა ყველა ჩვენს მეომარს ღრმად აწერია გულის ფიცარზედ. თუ იაპონელები იმარჯვებდნენ აქამომდე, მაგისი მიზეზი იყო მხოლოდ სიცოტავე ჩვენის ჯარისაო. ათი-ათას ვერსზედ მოშორებულია ბრძოლის ველი, ჩვენი ფლოტი აღმოსავლეთისა უკიდურეს მდგომარეობაშია და ამავე დროს მტერი ზედვე აკრავს მანჯურიას და თანაც თავისის ფლოტით ნამდვილი ბატონია ზღვაზედ. როცა უჭირს, ჯარი გადმოჰყავს დაუბრკოლებლივ; როცა უნდა, სურსათი მოაქვს უშველებლის რაოდენობისა. რასაკვირველია, რომ ამისთანა ყოფაში ჩვენ უკან-უკან უნდა დაგვეწია. საკვირველი ის იქნებოდა, რომ მტერს ცოტათი მაინც ვერ გაემარჯვნა, და მართლა საკვირველი ის არის, რომ ჩვენ დღემდე ისე შევინახეთ თავი, რომ მტერს მედგრად ვუდექით და თანაც დიდი ზარალი მივაყენეთ მისს ძლიერებას. თუ კი აქამომდე მოვიყვანეთ საქმე, დღეს სრულებით დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ ამას იქით, როდესაც ჩვენმა ჯარებმა მოიყარეს თავი მანჯურიაში, როდესაც მათი რიცხვი თითქმის აღემატება მტრისას და როდესაც ბალტიის ესკადრა მიეშურება დიდ ოკეანისკენ,—ჰო, ამას იქით, დადგება ახალი ხანა ომისა და თანაც ხანა ჩვენის გამარჯვებისა და მტრის დამარცხებისაო. მაშ, შორს ჩვენგან დაღვრემილებაო. ვიქონიოთ რწმენა ჩვენის სამაგალითო ჯარებისა, რომლის წმიდათა წმიდასაც შეადგენს რუსეთი და რომელნიც მისს გამარჯვებას ანაცვალებენ თავის სიცოცხლესაო. (ნოვ. ვრ.).

—

სამხედრო ფლოტის გაძლიერების შესახებ. ეხლანდელმა ომმა დაანახვა ქვეყნიერობას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამხედრო ფლოტს მტერთან შეტაკების დროს. ეხლა თითქმის ყოველი სახელმწიფო ევროპისა იმაზედა ჰფიქრობს, რომ, რაც შეიძლება, გააძლიეროს თავისი სამხედრო ფლოტი. ასეთი განზრახვა გამოიჩინა საფრანგეთმა, იტალიამ, ინგლისმა, ესპანიამ და თითქმის ოსმალეთმაც კი, მაგრამ ყველაზედ ძლიერ სცდილობს ამას გერმანია და მისი იმპერატორი ვილჰელმი. ეხლახან წარუდგენენ პარლამენტს ახალ გეგმას სამხედრო ფლოტის გასაძლიერებლად. როგორც გაზეთი «ნოვოსტი» გადმოგვცემს, გერმანიას სწადიან შეჰქმნას ორი ახალი ჯავშნიანი ფლოტი და მრავალი კრეისერები. რამდენადაც წინად შეუძლებელი იყო პარლამენტში ამისთანა წინადადების შეტანა, იმდენათ ეხლანდელ გარემოებაში ყოვლად შესაძლებელია, რომ ამ წინადადებამ არავითარი წინააღმდეგობა არა ნახოს იმავ პარლამენტში. (ნოვ.).

—

კვლავ პორტ-არტურის შესახებ. გაზეთ «რუსსკია ვედომოსტ»-ის სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ს. კ. ჰფიქრობს, რომ ციხეები: ერლუნგშანი, იტშანი და ანცეშანი აღებულია მტრისაგან, თორემ უამისოთ გენერალი ნოგი ვერ მიიტანდა იერიშს დასავლეთიდანაო. ხოლო უკეთუ ერლუნგშანი აღებულია, მაშინ ცუდი დღე დაადგება პორტ არტურს, რადგან ამ ციხიდან შესაძლებელია საალყე ზარბაზნების დადგმა და ნიშანში ამოღება ყოველისავე ადგილისა, რომელსაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს ალყა-შემორტყმულთათვის; მაგალითად, ყუმბარების საწყობი, თოფხანები, წამლის სარდაფები, გემების სადგომი ბინა და სხ.; ამის გამო, უეჭველია, გენერალი სტესელი ეცდება, რომ არა შემთხვევაში ნება არ მისცეს ამ ციხეზე საალყე ზარბაზნების დადგმისა, რაიცა შეიძლება განუწყვეტელის ყუმბარების სროლით და სასტიკ იერიშის მიტანით, რომ ეს ციხე კვლავ უკან დაიბრუნოს. ახალ ისტორიაშიო,—ამბობს ბ-ნი ს. კ.,—მაგალითი არა ყოფილა თითქმის, რომ ამდენი ხანი გაეძლოს მტრის ალყისთვის ციხეს, რომელიც მოწყვეტილია ხმელეთიდანაცა და ზღვიდანაც. ზოგი ჰფიქრობს, რომ უკანასკნელმა იერიშებმა მუქთად ჩაუარა იაპონელებსაო და ამიტომ დღეის იქით იერიშებს აღარ მიიტანენ, არამედ თხრილებითა და გვირაბების კეთებით მიუახლოვდებიან პორტ-არტურსაო. ეს აზრი მისაღები არ არის. თუ კი ასე იყოს საქმე, მაშ რიღასთვის მოსდის გენერალ ნოგის ჯარი ჯარზე განუწყვეტლივ? ჩვეულებრივის ალყისათვის მას ეყოფა გაცილებით ნაკლები ხალხი, ვიდრე დღეს ჰყავსო. როდესაც იგი სულ უმატებს ჯარს, ეს იმის ნიშანია, რომ იგი იერიშებზედ სულაც არ აპირობს ხელის აღებას. პირიქით, იგი კვლავ განაგრძობს იერიშებს და უფრო მედგარსაც, რათა ჩქარა გადასწყვიტოს პორტ-არტურის ბედი და მიეშველოს მარშალ ოიამას მუკდენის ბრძოლისათვის. (რუს. ვედ.).

## ახალი ამბავი

—

**თბილისი ანგარიში ქართულ დრამის ამხანაგობისა.** ოკდომბრის განმავლობაში შემოვიდა: საწევრო ფული—328 მან.; ბონემენტებისა—450 მან.; გამართულა წარმოდგენების შემოსავალი—1,230 მან. 34 კაპ., სულ შემოსავალი არის 2,008 მან. 34 კაპ.; ამავე თვის განმავლობაში გასავალი იყო: მსახიობთ მიეცათ 896 მ. 75 კაპ.; სხვა და-სხვა ხარჯები (თეატრის ქირა, ტანისამოსებისა და სხვ.)—1,061 მან. 41 კაპ.; სულ დაიხარჯა 1,968 მან. 16 კაპ.; უნდა აღვნიშნოთ, რომ საწევრო გარდასახადი ძლიერ ნელის ნაბიჯით შემოაქვთ ამხანაგობის წევრთ. ეს ანგარიში შეამოწმა სარევიზიო კომისიამ თავის სხდომაზედ, 31 ოკდომბერს.

*** **საპატიო წევრად არჩევა.** ქუთაისის გაბრიელის სახელობის უფასო სამკითხველოს გამგე ქ-ნი ელენე კონსტ. ასული ჯინოვისა გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი: «ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გამოვაცხადოთ შემდეგი: გაბრიელის სახელობაზედ დაარსებულ წიგნთსაცავ-სამკითხველოს წევრთ ღრმა პატივისცემით აარჩიეს საპატიო წევრად ცნობილი ქველმოქმედი დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი».

*** **მატარებელთა შეჩერება.** განკარგულება მოახდინეს, რომ 31 ოკდომბრიდგან სამგზავრო მატარებელი № 6 ერთის წუთით გააჩერონ ზედაზენის ბაქანთან, მცხეთის მახლობლად, მოწაფეთა და მგზავრთა ჩასასხდომ-გადმოსასხდომად.

*** **საბჭოს კომისიის დადგენილება.** 29 ოკდომბერს სხდომა ჰქონდა საბჭოს კომისიას და სურვილი გამოსთქვა, რომ ქალაქის მიწები საჯარო ვაჭრობით კი არ გაიცეს იჯარით, როგორც აქამდე იყო, არამედ მიეცეთ ტფილისის ღარიბ მცხოვრებთ, თუნდა ამათ გაცილებით ნაკლები ფასიც გაიღონ შეძლებულებზედ.

*** **შუამდგომლობა რკინის გზის უფროსისა.** რადგანაც ნავთის მილების სამუშაოთა გათავება ძლიერ საჩქაროა და ამასთანავე ამ მილებს დიდი მნიშვნელობაცა აქვს, ამიერ-კავკასიის რკინის გზათა უფროსმა შუამდგომლობა აღძრა, სადაც ჯერ არს, რომ ამ სამუშაოთა გამგე-ინჟენრები, რომელნიც სათადარიგო ჯარში არიან ჩარიცხულნი, განთავისუფლებულ იქმნან მომქმედ ჯარში გაწვევისაგან.

*** **ხოლერა ბაქოსა და მისს მიდამოებში.** 29 ოკდომბერს ხოლერით ავად გამხდარა ბაქოში 2 კაცი, ერთი გარდაცვლილა. ბალახანაში ამ დღეს და წინა ორ-სამ დღეში არავინ გამხდარა ავად და არც არავინ მომკვდარა წინანდელ ავადმყოფთაგან.

*** **რკინის-გზის უფროსის ჩამოსვლა.** ამიერ-კავკასიის რკინის გზათა უფროსი ინჟენერი ი. კ. ივანოვსკი დღეს, 2 ნოემბერს, დილის 10 საათზედ, საგანგებო მატარებლით ტფილისში ჩამოვა პეტერბურგიდან.

*** **ხოლერა ერევნის გუბერნიაში.** ჯულფის გზაზე 24 ოკდომბრიდან 28 ოკდომბრამდე ხოლერით ავად გახდა: ჯულფაში შვიდი კაცი, გარდაიცვალა ერთი; კიზილვანქში ავად გახდა ოთხი, გარდაიცვალა—ოთხი; შახტახტში ავად გახდა ერთი, გარდაიცვალა ერთი.

*** **ჯულფის რკინის გზის შტოს გამგემ,** ინჟინერმა ჰურცელმა, ჯულფის უფროს ექიმს გაუგზავნა ასი ყუთი წამლები და მედიკამენტები ხოლერასთან საბრძოლველად.

*** **სად. მუღანი.** 31 ოკდომბერს, დილის 4 საათზედ, როდესაც საქონლის მატარებელი № 194 სადგურზედ იდგა, ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ გახსნეს ვაგონი და ორი ტვირთი გადმოიღეს—ერთი კარამელი (კამფეტები) და მეორე—ცხვირსახოცები. ქურდებს ცხვირსახოცები გადაუგდიათ და იქვე მახლობელ მინდორში იპოვნეს.

*** **სად. ბაქო.** 30 ოკდომბერს, საღამოს 5 საათზედ, ორთქლმავალი, რომელსაც ათი ვაგონი ება და «შავ ქალაქში» (Черный городъ) მიდიოდა, დაეჯახა ცისტერნის ვაგონს, რომელიც იმავე ლიანდაგზე იდგა, და დაამტვრია.

*** **სად. ხაშური.** 30 ოკდომბერს, შუადღის პირველ საათზე, გიგო ნაზარაშვილმა, ნასოსის გაწმენდის დროს, მარჯვენა ხელის თითები დაიშავა.

# საქართველო

**ს. ეწერი.** (აბაშის საზოგადოება, სამეგრელო). ეს სოფელი მოშორებულია სოფ. აბაშიდგან 7—8 ვერსით. შარშანდელთან შედარებით, წელს მოსავალი სიმინდისა და ღვინისა უკეთესია. წლიური საყოფი კი ნახევარს არ მოსვლია. ადგილ-მდებარეობა ჩავარდნილია, ერთი გორაკიც არ მოიძევება, დაწმენდილ სასმელ წყალს ვერ იშოვნით, დილ-დილაობით ხშირად ნისლი დგას და ჰაერი დახუთულია. მცხოვრებთაგან რამდენიმე კომლი აზნაურია, დანარჩენი გლეხები. აქაურები საღათას ძილს მისცემიან; ყველაფრით უკან ჩამორჩენილნი არიან: თუ გურიაში—რა სოფელიც არ აიღოთ—კულტურას, სწავლა-განათლებას, წიგნთსაცავ-სამკითხველოებსა და სკოლებს უკვე დაუმჩნევია განათლების დაღი, კერძოდ ეწერში და საზოგადოდ სამეგრელოს სხვა სოფლებში ამის მსგავსს ვერას შეამჩნევთ...

ეწერის მცხოვრებთა შორის ისევ ძველი ჩვეულებაა: აქ ბატონი კიდევ ბატონობს და მორჩილიც თავის როლს რიგიანად ასრულებს. მაგრამ რომ დაუკვირდეთ, გლეხის ცხოვრებას ემჩნევა გამოღვიძება. ეს შეუმჩნევიათ აზნაურებსაც და ისინიც უფიქრდებიან თავიანთ დღევანდელ და მომავალ მდგომარეობას.

ერთი ფრიად კარგი აზრი მოსვლიათ აქაურ მცხოვრებთ—აზნაურთ გუგუშვილებს. მათ განუზრახავთ შეადგინონ წრე, რომელიც შესდგება 20 თუ რამდენიც იქმნება წევრისაგან, რომელთაც ერთად უნდა იმუშაონ, იშრომონ და დაეხმარონ ერთმანერთს: საერთო შრომით საერთო თანხა შეადგინონ და დააარსონ სოფელში საზოგადო მაღაზია, რომელშიაც ყოველ-ნაირი სანოვაგე უნდა იქონიონ და, სხვა დაბა-ქალაქებთან შედარებით, იაფ ფასად მიაწოდონ მცხოვრებთ... სწორედ რომ მისაბაძი მაგალითია!

დ. ქ—ძე.

—

**სოფ. კიწია** (სენაკის მაზრა). ავაზაკების მსხვერპლი. 19 ოქტომბერს აქ ერთი ფრიად სამწუხარო ამბავი მოჰხდა: ამავე სოფლის მცხოვრებს აზნაურს გრიგოლ ჩაჩიბაიას რამდენიმე შეიარაღებული ავაზაკი თავს დაესხნენ სწორედ იმ დროს, როცა განსვენებული ვახშმობდა. ერთმა ავაზაკთაგანმა რევოლვერი მუცელში დაახალა. სხვები მიცვივდნენ და ხანჯლებით აკეპეს განსვენებული. ბოროტ-განმზრახველთ არაფერი წაუღიათ. მკვლელობის მიზეზი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია. ამბობენ, შურისძიებით მოჰკლესო...

ტელეფონი.

### ჩემი დოდონა.

(ეტიუდი)

მეტის-მეტად მიყვარხარ, ჩემო პაწია, ჩემო დაუცხრომელის სიცოცხლით სავსე ცელქო, პაწა გოგო! მიყვარს შენი ხან გაუგებარის გულით ტირილი, ხან უსაზღვრო სიცილი! შენი ბუტკუცუნა ლოყები, პაწია ფუნთუშა ხელი და ფეხი და ერთთავად მეტის-მეტი მსუქანი და ხორცით სავსე ტანი, გამოურკვეველ ნეტარებას ჰგვრის ჩემს დუხჭირ და საზიზღარს ცხოვრებას, დაშხამულს სულსა და გულს. ჩემი ობოლი სული და ბოღმით სავსე გული მხოლოდ შენ შემოგცქერის, მხოლოდ შენით ნუგეშობს. ერთად-ერთ საუკეთესო ნავთ-საყუდლად შენ მიმაჩნიხარ.

დიაღ, მეტის-მეტად მიყვარხარ, მაგრამ იცი, როდის უფრო მეტად მეყვარები? როდესაც შენ, ქალად დაბადებული—ნამდვილი კაცი შეიქმნები, როდესაც ყველას დაუმტკიცებ შენის მოქმედებით, რომ შენც კაცი ხარ, კაცურის უფლებით მოსილი. იცი, ჩემო პაწია, თუ რამდენად საჭიროა ჩვენთვის მაგნაირი ქალი? იცი, რომ მაგისთანები სულ არ მოიპოვებიან ჩვენში? ჩვენი ქალები, ჩემო კარგო, მხოლოდ ქალები არიან, კაცობისგან დაშორებულნი,—ისინი მხოლოდ ქალურ მანჭვა-გრეხაში ატარებენ თავიანთ სიცოცხლეს, ჟამს გადასულ და უვარგის ჩვეულება-შეხედულებაზე მაღლა დადგომა—არას გზით არ უნდათ.

იცი, მათი საქმიანობა რითი გამოიხატება? სხვა-და-სხვა სალებავ-საცხებლებით ბუნებრივ სახეს იმახინჯებენ, მუდამ დღე «მოდის» ძებნაში არიან, ბალებსა და სალამოებში ერთობიან, მუდმივს არშიყობას ეტანებიან—აი, ეს არის მათი საქმიანობა!

არც კი სცხვენიათ, ჩემო პაწა, რომ მხოლოდ მამაკაცების გამართობელ ტიკინებად გამხდარან; ოდნავადაც არ სცდილობენ, რომ მუდმივ სხვის მონობა-ბრძანებლობისაგან განთავისუფლდნენ; სულაც არ უნდათ, რომ ის ახალი შეხედულებანი, რომელიც თანასწორობას და ადამიანობას ასწავებს, იოტის ოდნავ მაინც შეიგნონ; ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ მეტად საჭირო წინსვლისა და აღორძინების გზაზე—ცალი ფეხი მაინც შეედგათ!

იცი, ჩემო პაწია ცუგრუმელო, რომ ისინიც, მამაკაცებთან ერთად, ხელ-ჩაკიდებულნი (საარშიყოდ კია არა, როგორც ახლაა), თვით შეგნების და აღორძინების გზაზე შემდგარნი, რამდენად წასწევდნენ ჩვენს ბნელითა და უმეცრებით მოცულ ქვეყანას? მგარამ, მათდა საუბედუროდ, ასეთი საზოგადო სასარგებლო საქმე როდი აინტერესებთ! იმათ მხოლოდ აი, რა იზიდავს: გრძელ-კუდიანი კაბა, ფეხსაცმელი ნახევარ არშინიან ქუსლით და ამოდენა წვერით, თითქოს ქვეყნის ყვავილებიანი ფრინველები ზედ დაუბერტყნიათო, ისეთი შლიაპები, სამშობლო ენის მაგიერ მისი სიძულვილი, რადგანაც ამით ვითომ განათლებულობას ჩემობენ, არშიყობა, ბალი და სადამო, როგორც წელანაც გითხარი, ჩემო კარგო, ბულვარზედ უთავბოლო ხეტიალი და, ვინ იცის, რაები! ერთის სიტყვით, იზიდავს მხოლოდ ის, რაც მათს უსაქმობას, ფუქსავატობას და ოქროზე უძვირფასესის დროის არა-რაობის მორევში ჩაკვლას ჰმოწმობს და ჰლაღადებს.

აი, ასეთია, ჩემო იმედო, მეტი ნაწილი ჩვენის ქალებისა, რომლებიც შენ სამუდამოდ უნდა დაჰგმო, რადგანაც ისინი გადაგვარების გზას adგანან, ცხოვრების ხორც-მეტად ითვლებიან! უკიდურესი შეუსაბამობაა მათი არსებობა; უნდა დაჰგმო, ჩემო კარგო, და შეუერთდე იმ თითო-ოროლას, რომლებმაც ძველი, ჟამგადასული და მეტის ნაწილის დამახასიათებელი თვისებანი სამუდამოდ უარყვეს და თვით შემეცნების და ცხოვრების გზაზე გმირულად შემდგარან. აი, იმათთან შენც გმირი იქნები, ჩემო მშვენიერო!

აბა, შენ იცი, ჩემო დოდონა, თუ როგორ შეასრულებ ჩემს თხოვნას და შენს გმირულ თავგანწირულებას მიჩვენებ საყოველთაო საბედნიერო ბრძოლაში; შენ იცი, თუ მეტ ნაწილად კიცხვა-დაცინვა, რომელიც შენთვის ქება და დიდება იქნება, ვერ შეგაშინებს.

მაშ, გახსოვდეს, როდესაც ცხოვრების გზაზე ფეხს შესდგამ, რომ შენი უპირველესი ცხოვრების დევიზი თვით-შეგნება და ცხოვრების განახლება იქნება; გახსოვდეს, რომ შენ, დედაკაცი, ნამდვილი კაცი, ჭეშმარიტი ადამიანი უნდა შეიქმნე. დეე, თუნდაც მოჰკვდე ამ კეთილშობილურ განზრახვის აღსრულებაში, თუნდაც ვერ გაიარო ბოლომდის შენი დიდი, მაგრამ წმინდა გზა საფლავში მაინც ის ჩაგყვება, რომ მოკვდი ადამიანურ უფლებათა მოპოვებისათვის: ეს სწრაფვა შენის სულისა ბრწყინვალე და დაუვიწყარ ძეგლად დაგედგმება და სხვებისთვის კი გამამხნევებელ ძალის მიმცემ მაგალითად დარჩება.

მაშ, დაიხსომე, რომ დიდი გზა გაქვს გასავლელი, დიდი ბრძოლა გჭირია, თუ ჩემს თხოვნას შეასრულებ, და მეტ ნაწილს ფუქსავატობას, ბურმუშობას არ აჰყვები; ბრძოლა იმდენად ახალისებს და აკეთილშობილებს კაცს, რამდენადაც უბრძოლველობა აძაბუნებს და ყოველ მხრივ მიწასთან ასწორებს. ეს იწამე და, რაკი ერთხელვე რწმენად გადაგექცევა რამე, მის წინააღმდეგ, ძალიანაც რომ ეცადო, მაინც ვერ წახვალ.

მაშ, მშვიდობით, ჩემო კარგო, და ამ თხოვნის შეძლებისა დაგვარად შესრულებას გავალებ...

სოსიპ მთაშველი.

# რუსეთი

გაზეთი „სუდებნოე ობოზრენიე“ არჩევს-რა მეტად საჭირ-ბოროტო საკითხს სარწმუნოების თავისუფლების შესახებ, ამბობს: დროა დღეიდან მაინც უარვყოთ სხვა-და-სხვა სექტანტების დევნაო, და თანაც დასძენს: რუსეთში დღეს ჩვეულებრივ მოვლენად გარდაიქცა სექტანტების დევნა. ამას ნათლად გვისურათხატებს შემდეგი მაგალითი: კვირა დღე იყო. ერთს ღვთის მოშიშარ გლეხის ქოხში თავი მოეყარათ მეზობლებს, «სარწმუნოებით ძმებს». იქვე მაგიდაზე გარდაეშალათ სახარება, დაბადების წიგნი და სხვა ლოცვანი. ერთი კითხულობდა, დანარჩენები კი ყურს უგდებდნენ... უცებ კარები გაიღო და ოთახში შემოვარდა ურიადნიკი თავისის მოხელეებით; თქმა არ უნდა, „დამნაშავენი“ მაშინვე დაიჭირეს, როგორც „თავისუფალ სარწმუნოების“ მიმდევარნი და, შესაფერის ოქმის შედგენის შემდეგ, სასამართლოს გარდასცეს. აქ მათ სჯიან და ასამართლებენ კანონთა დებულების 29 მუხ. ძალით, რომლითაც აჯარიმებენ 50 მანეთამდე, ხოლო ვისაც ამის გარდახდის საშუალება არ ექმნება, განსაზღვრული დრო ციხეში უნდა დაჰყოს.

ასეთი მაგალითები რუსეთში ასობით და ათასობით ჰხდება, მაგრამ მთავრობამ მაინც ვერ შესძლო სექტანტების გასწორება და მათის სარწმუნოების აღმოფხვრა. რუსეთის სასამართლოებში, განსაკუთრებით სამხრეთ-რუსეთის მხარეში, განუწყვეტლივ ირჩევა სექტანტების საქმე; მისჯილ ჯარიმის რაოდენობა, ერთად აღებული, თითქმის რამდენსამე ათი ათასს მანეთს შეადგენს და ციხეში გატარებული დღეები მთელს თვეებს უდრის. საკმარისია სასამართლო დაწესებულებათა წლიურ ანგარიშის მცირე განხილვა, რომ ზემოდ ნათქვამში სავსებით დარწმუნდეს ადამიანი. მაგრამ ვის შეუძლიან აღნუსხოს და ეგრედ წოდებულ ანგარიშში მოათავსოს ის ცუდი ზნეობრივი ზედგავლენა, რომელიც ასეთს მკაცრს საშუალებასა და დევნას მოსდევს. ადამიანმა ურჩობა გასწია და თავის სულიერის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არ ისურვა მიემართნა მთავრობის მიერ შემუშავებულ ტიბიკონისათვის, პირიქით, არჩია მიემართნა პირდაპირ საკუთარის სინიდისისათვის და, როგორც ეს უკანასკნელი ამხილებდა, ისე მოქცეულიყო. აი, აქ იმალება მისი დანაშაული, ამისათვის სჯიან და აჯარიმებენ. მაგრამ ერთხელ მაინც რად არ ჩაფიქრდებიან მდევნელები, როდესაც ასეთს მკაცრს საშუალებას ხმარობენ მათ წინააღმდეგ, თუ რა მძიმე დანაშაულს სჩადიან? რამდენი სულიერი ტანჯვა, დამცირება, სიძულვილი და კვლავ განუსაზღვრელი სიძულვილი იმალება სექტანტების გულში?! ან სხვა გრძნობას როგორ ექნება მათ შორის ადგილი, როდესაც ფეხქვეშ შეუბრალებლად სთელავენ მათს წმინდათა წმინდას—სარწმუნოებასა და სინიდისს. საჭიროა—ამბობს გაზეთი,—რომ ამ უსამართლოდ ტანჯულთა ხმა აწ მაინც მისწვდეს საზოგადოების უმრავლესობას. დღეს სატახტო ქალაქებში გაიძახიან სარწმუნოებისა და სინიდისის თავისუფლების შესახებ და იქ, შიდა რუსეთში კი, ჩვეულებრივ სდევნიან სარწმუნოების თავისუფალ მიმდევართ და სჯიან მათ.

და აი, ის საზოგადოება, რომელიც თავისუფლებაზე მსჯელობს და ლაპარაკობს, ვალდებულია ამ ბნელით მოცულ უკუნისაკენ მოიხედოს და გაამტვრიოს ის კარები, რომელიც ამ ბნელეთში სინათლის ცხოველ-მყოფელ შუქს უშლის თავისუფლად ნავარდს.

# ნარკვევი

გაზეთი «რუსსკოე სლოვო» № 299-ში ლაპარაკობს და მსჯელობს იმის შესახებ, რომ რუსეთში, უმაღლეს სასწავლებლებში, ღირსეული კაცები აღარ არიან პროფესორებად და, ვინც ღირსეულია, იგი გაურბის პროფესორობას. ამის გამო მსჯელობა ჰქონდათ სამოსწავლო ოლქების მზრუნველებს, რომელთაც გადასწყვიტეს, გაამრავლონ რიცხვი სტიპენდიანტებისა, ე. ი. რიცხვი იმ ყმაწვილებისა, რომელთაც კურსის დამთავრების შემდეგ სტოვებენ ხოლმე პროფესორის ხარისხის მისაღებად. მზრუნველთა კრებამ საჭიროდ დაინახა 600 მანეთი მიეცეს თვითეულს სტიპენდიატს წელიწადში, რომ მოემზადნენ საპროფესოროდ და სხვა ადგილს არ დაუწყონ ძებნა.

„საშუალება დიდად რომ ურიგო არ არის,—განაგრძობს გაზეთი,—ამისთანა მცირე სტიპენდიით კი საპროფესოროდ მომზადება და ცხოვრება ძალიან ძნელია, აქედან კიდევ პროფესორის მცირე ჯამაგირზე გადასვლა არავის მიიზიდავს. სტიპენდიატების და პროფესორების ნივთიერის მდგომარეობის უზრუნველყოფა საჭიროა. მაგრამ არ უნდა შევჩერდეთ იმ აზრზე, რომ ვითომ თუ ფული იქნება, პროფესორებიც გამოჩნდებიანო.

ფულებიც იქნება, კათედრებიც არ დაცარიელდება, მაგრამ პროფესორები მაინც არ გვეყოლება. სყიდვა პროფესორებისა არ შეიძლება, ხოლო ფულებით მათი შექმნა-გაჩენა შეუძლებელია. აწინდელ პროფესორთა ნაკლში ფულს მეორე ხარისხის ადგილი უჭირავს. უნდა დასთვალოს კაცმა ბოგოლეპოვის მინისტრობიდან აქამომდე რამდენმა პროფესორმა მიანება თავი კათედრებს. ამას წინად ხარკოვის ტეხნოლოგიურის ინსტიტუტიდან ორი მესამედი პროფესორთა წავიდა“.

# ფელეტონი

**თხზულებანი ია ეკალაძისა.**

(კრიტიკული განხილვა)

შემდეგი *)

**V**

მესამე ჯგუფს ეკუთვნიან: 1) მშვიდობა შენდა, 2) შეჩვენებული, 3) სიკოს სახლობა და 4) სამახსოვრო ღამე. პირველ ორ მოთხრობას არავითარი საერთო არა აქვს ჩვენს ცხოვრებასთან. ისინი ეხებიან მეტად შორეულ ამბავს, იმ დროს, როცა ქვეყნად მოვლენილი ზეკაცი ქადაგებდა ძმობას, სიყვარულს და სათნოებას. შარავანდედ მოსილი, მშვიდის და ზენაარის სახით ჩამდგარა ქრისტე ხალხში და ამცნევს მათ ახალს რჯულს. მას გარს ახვევია ბრბო, რომელიც ხან სასწაულით გამაძღარი ეფინება ფიანდაზათ და უგალობს «ოსანა მაღალთაშინას», ხან ვნებით აღძრული ღრიალებს მხეცივით: «ჯვარს აცვით ეგა!».. ამ ციურ სათნოებით შუქმფინარე ჭაბუკს დაინახავს პილატეს ცოლი ტურფა საბინა და რაღაც ზენაარი ტრფიალი და სასოება იპყრობს მას. ეს ქალი შემდეგ შეხვდება ქრისტეს გზაში.—«მშვიდობა შენდა»! ესმის საბინას ზეკაცის სანეტარო ხმა და, როგორც ციური ზარი, წკრიალებს ეს ხმა ქალის გულში. საბინა ოცნებობს მასზე. ქალს სწყურია ამ საოცარის ჭაბუკის ხილვა, მასთან საუბარი. ამ გატაცებას იგი არ უმალავს ქმარს, მაგრამ მდიდარი და ვნება-ჩლუნგი პატრიცი არ აქცევს ყურადღებას. სა-ეცხოვოთაა დახატული ეკალაძის მიერ იერუსალიმის სურათები და ანტონიუსის კოშკი; ბადრი მთვარე დაკრთის მიდამოს და ჰქმნის ფანტასტიურ ფერადებს. საბინა წევს რბილ ტახტზე და ოცნებობს; მის სმენას ატკბობს მონა ბერძენი. ვნება აღძრული მისჩერებია იგი საბინას მღელვარეს, მოღიავებულ მკერდს და გალობს სიყვარულს. საბინას კი არ ჰხიბლავს არც ჩანგი, არც სიმღერა; იგი ქცეულა ოცნებათ, მისი ფიქრები მიჰქრიან შორს და უალერსებენ ქრისტეს. იქვე აბანოში ნებიერათ გაწოლილა წვერ მოპარსული პილატე, რომელსაც ჰზელს ძვირფას ნელსაცხებელით ორი ხელ-მარდი მონა. მთვარე კვლავ მიცურავს ცაზე. აჰა, შეჩერდა იგი გენისარეთის ტბის გულზე, გააშუქა შემდეგ პაწია ნაზარეთი და შეანათა ერთ ქოხში. აქ კუთხეში მუშაობს მოხუცი დურგალი; იქვე ზის და ართავს მატყლს სათნო და მშვენიერი მანდილოსანი; იგი შეჩერდება ხან და ხან და ამ დროს მისი ფირუზა თვალები ივსება სევდით. ის ფიქრობს ვიღაცაზე... ვინ არის ეს ორი ადამიანი? ესენი არიან იოსები და მარიამ ღვთის მშობელი. ისინი ელოდებიან ქრისტეს. ის კი ამ დროს მიყრდნობია ტყეში წაბლის ხეს და დაღვრემით შესცქერის იერუსალიმს. ვინ იცის, სად ფრენენ მისნი ზენაარი აზრი და გონებანი!.. განვლო დღეებმა; იუდას ანგარებამ ხელთ მისცა მტარვალთ ახალი რჯულის მოძღვარი. უგულო ბრბომ, ფარისევლებმა და მთავრობამ აწამეს და ჯვარს აცვეს მებრძოლი ბოროტებისა და ძმობა-ერთობის მქადაგებელი... მოსთქვამდნენ ამ ვერაგობის მსხვერპლისათვის დედა მარიამ, მარიამ მაგდალინელი, სხვა ქალები და მათთან ერთად ანტონიუსის დიდებულ კოშკში სტიროდა მწარეთ მშვენიერი საბინა. მის თვალ-წინ გოლგოთაზე საზარო ლანდათ ისახებოდა სამი ამართული ჯვარი...

ამ შვენიერ მოთხრობაში სავსებით გამოსჭვივის ავტორის მხატვრული ნიჭი.

არა ნაკლების ხელოვნებით დასურათებულია მეორე ესკიზიც «შეჩვენებული». შავ-ბნელ ღამეს ზეთის-ხილის ხეთის ხევში დაძრწის რაღაც უზარმაზარი ლანდი და ელის ვიღაცას. ვინაა ეს ლანდი? ის არის იუდა, ელის ფარისეველს, რომელმაც უნდა მიუტანოს 30 ვერცხლი. მოვიდა ისიც, გადასცა ფული. იუდა გაუძღვება მას და მიიყვანს გეთსიმანიის ბაღში, სადაც ამ დროს ლოცულობს ქრისტე. მას სტაცებენ ხელს, ჯერ მიიყვანენ პილატესთან, შემდეგ აჰკიდებენ მძიმე ჯვარს და გვემით აიყვანენ გოლგოთაზე საწამებლათ. ამ საშინელ სურათს მზერს იუდა. მასში ილვიძებს სვინიდისი. ის ყველგან ჰმზერს სისხლს და ქრისტეს ტანჯულ სახეს. მას ესმის ზეკაცის ხმა: «იუდა, შეჩვენებულო! შეჩვენებულო!..“ ის ვერ უძლებს ამ სურათს, ამ ხმას, იშლება ჭკუიდან და იღრჩობს თავს ვერხვის ტოტზე.

ლამაზათ და სიმართლით დასურათებულია ეგრეთვე ესკიზი «სიკოს სახლობა». სუსტის ხასიათის მქონე სიკო ჩვრათ უქცევიათ მის ცოლსა და სიდედრს. სიკოს მოსარჩლეა მხოლოდ მისი მოხუცი დედა. ამ ქალებს სულ ომი და ალიაქოთი აქვთ ოჯახში. დიდი ოთხშაბათია; ვახშამს მოსხდომია ღარიბი სახლობა; სუფრის თავში ბაიყუშივით წამომჯდარა სიკოს სიდედრი, ბოლოში სიკოს დედა, მარჯვნივ ცოლი და მარცხნივ თითონ სიკო. იქვე კუთხეში ბაყაყივით ჩაკუნცხულა გოგო და თავს ქინდრავს ჭირიან ქათამივით.—–პასკები არ უნდა გამოვაცხოთ, ყმაწვილო? დაეკითხა ქმარს მაიკო. სიკოს ნერწყვი გაუშრო ამ შეკითხვამ. მან კარგათ იცის, თუ რას ნიშნავს პასკის ცხობა, რა აურზაურს ასტეხს იგი. საბრალო სიკოს არ უნდა პასკების ცხობა, მაგრამ, აბა, იმას ვინ დაუჯერებს! იყიდეს მასალა და შეუდგნენ ზელას.—«აბა, ეხლა შენი რიგია, ჩქარა დაზილე, თვარა ცომი წაგვიხდება! და საბრალო სიკოც შეაბეს უღელში.—«კიდევ, კიდევ... ღონივრათ დაზილე! მალი-მალ დასძახიან ქალები ოფლში გაწურულ სიკოს.—მოვკვდი, ადამიანო! ველარ ეყო ამ ოხრათ დასარჩენს!—ბუზღუნებს სიკო და თან ოფლს იწმენდს.—ფუი, ფუი! ფშვინავს სიკოს მაგიერ ზელით გაწვალებული ცომი.—ცოტა კიდევ, ცოტა... არა გიშავსრა! დასისინებს სიდედრი...

რამდენი სიმართლე და იუმორია ამ სიტყვებში!

კარგია ეგრეთვე მოთხრობა „სამახსოვრო ღამე“. ტემა არაა ახალი, ფაბულა სადაა, მაგრამ გემრიელათაა შესრულებული. მოხუცი მდიდარი პავლე უმასპინძლდება ყმაწვილებს. ნასადილევს გავლენ დარბაზში, სადაც მისი ლამაზი ქალი კეკე დაუკრავს როიალს და დაამღერებს გრძნობით პავლეს საყვარელ სიმღერას. სიმღერა გაახსენებს მოხუცს ერთს ძველს ამბავს და ისიც აჰყვება ყმაწვილ კაცებს. პავლეს ჰყვარებია გატაცებით მდიდარის ოჯახის ქალი ქეთო, ქალს კი სხვისთვის უცემია გული,—რაც ხშირი მოვლენაა. გავიდა ორიოდე წელი. ერთ ღამეს ვიღაც მოაკაკუნებს მის პაწია ოთახში. პავლე გაუღებს კარს და ვის ჰხედავს? თავის ღვთაება ქეთოს... ბავშვით ხელში...—თქვენს მეტს არავის ვყვარებივარ... აი ეს შემინახეთ... ჩემი შვილია... თქვენ მაინც ნუ გამწირავთ...» ქვითინით წარმოსთქვა ქალმა, ბავშვი გულიდან მოიხსნა, ტახტზე დასვა; შემდეგ სახე გადაეხსნა, დიდხანს, დიდხანს ჩააშტერდა, მაგრად ჩაკოცნა, ერთი კიდევ ჩაიკრა გულში და ქვითინით კარში გავარდა.—«შემინახეთ... მოუარეთ... ხვალ ყველაფერს გაიგებთ. . შესძახა ქალმა კარებიდან და კიბეზე დაეშვა. საბრალო ქალი იკლავს თავს და ამ საშინელ ამბავს მიუტანს პავლეს მეორე დილას ქეთოს ამხანაგი ნატო, რომელსაც უყვარს პავლე, მისთხოვდება მას და ორთავენი ზრდიან ობოლს.

სვიმონ ქვარიანი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ივერია», № 248.

რა არის მიზეზი ამისთანა კრიზისისა? რად გაურბის ღირსეული კაცი პროფესორობას? ამის პასუხს თვით გაზეთი იძლევა:

«პროფესორობამ დაჰკარგა მიმზიდველობა ყველა იმათთვის, ვინც დიდის ხალისით ეტანებოდა იმასა. ისინი ვერ შეეთვისებიან იმ აზრს, რომ პროფესორი უფლის უწინარეს უნდა ჩინოვნიკი გახდეს, რომელიც მთლად უფროსის ნებას უნდა ემორჩილებოდეს. ისინი თავის დღეში ვერ მოურიგდებიან იმ აზრს —სამსახური მეცნიერებისა გადაიქცეს იმად, რომ მოღუნონ ის და ისე ატარონ, როგორც სურს პოლიტიკას და უფროსის გემოვნებას.

სახალხო განათლების ახალს მინისტრს სურს შეიტყოს ნამდვილი ყოფა-მდგომარეობა ამ საქმისა. და აი ჩვენც მაგაზე ვლაპარაკობთ. საქმე ვერ წაიწევს წინ, თუ ჩვენ გვეგონება, რომ მეცნიერება, ლიტერატურა და ბეჭდვითი სიტყვა უნდა განვითარდნენ ისე, როგორც იმათ უბრძანებენ. მეცნიერება, ხელოვნება და ლიტერატურა ვითარდება მაშინ, როცა იმათ ხელშემწყობი გარემოებანი აქვთ გარეშემორტყმული. ხოლო რა გარემოებანი უშართავენ ხელს იმათ განვითარებას და რა აბრკოლებს და სჩაგრავს იმათ ზრდასა,—ეს ყველა გიმნაზიის საშუალო და ახალ საუკუნეთა ისტორიის სახელმძღვანელოდანაც კი სჩანს.

როდესაც «ძველი» საუნივერსიტეტო წესდება შემოიღეს, ჩვენ პროფესორები არა გვყავდა. ბევრი კათედრები დაიხურა ამის გამო, ხოლო დანარჩენებზე ისეთები იყვნენ, რომელთაც მეცნიერებისა არა გაეგებოდარა. მაგრამ მალე გაჩნდნენ პროფესორები. სამოც-და ათიან წლებში ყოველ უნივერსიტეტში ბლომად იყვნენ ახალგაზრდა მეცნიერნი, რომელნიც თუნდ გერმანიის უნივერსიტეტებში გამოდგებოდნენ. საიდან გაჩნდნენ მაშინ ახალგაზრდა და ნიჭიერი სწავლულნი? უცხოეთში ვყავდითო?—არა. ისინი უცხოეთში იყვნენ, ხოლო იწვევდნენ შინისაკენ მეცნიერების სამსახურისათვის. მაშინ ნაკლებად გვყავდნენ სტიპენდიატები, ვინემ ამ უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში. მაშინ უფრო ნაკლებად ვგზავნიდით სტიპენდიატებს უცხოეთში, ვინემ ამ უკანასკნელ წლებში. მთელი ანი და ბანი ამ საქმისა დროზეა დამოკიდებული ადმაფრენა სულისა,გამოღვიძება საზოგადოების დიდ რეფორმების დროს, ღონე და სურვილი იდეიისადმი მსახურებისა—აი ის გარემოებანი, რომელთაც 70-ნ წლებში დაჰბადეს პროფესორები.

80-ნ წლების ბინდ-ბუნდმა, რომელიც უკანასკნელ წლებში ერთობ ჩამობნელდა,—სულ სხვა ნიადაგი დაჰბადა. ამისთანა ნიადაგზე კეთილი თესლი უხეირო ჯეჯილს იძლევა, ხოლო ნაზი თესლი მეცნიერებისა და ლიტერატურისა სრულიად შეიძლება.

ისტორია და ლოღიკა უცდომლად გვიმტკიცებს, რომ საზოგადოების სულიერთა ძალთა ყვავილი (ხოლო ამ ყვავილებად პროფესორნი უნდა იყვნენ) არ გაიშლება იმ გარემოებაში, რომელიც ხელს შეუშლის ზოგად თვით-მოქმედების და თვით-ცნობიერების განვითარებასა. აი აქ არის დღევანდელი მიზეზი საპროფესორო კრიზისისა. თვით სახალხო განათლების მინისტრს თავის ძალ-ღონით ამის მოსპობა არ შეუძლიან. ამის მაგალითად თვალ-წინ გვიდევს კეთილნი განზრახვანი განსვენებულის პ. ს. ვანოვსკისა. მაშინ ჟურნალ-გაზეთობა ბევრს მსჯელობდა იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა რეფორმები, ერთს რომელსამე სამინისტროში, უკეთუ ისინი არ შეესაბამებიან იმ პოლიტიკურ რეჟიმს, რომელიც გაბატონებულია საგანი გამოირკვა სულ უბრალოდ და თვალ-საჩინოდ. ჩვენ ყველანი ველით «გაზაფხულს». ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენი იმედები გამართლებულიყოს. დადგება გაზაფხული და ყვავილნიც გაიშლებიან,—საზოგადოების შემოქმედობისა და სულიერ ძალთა ყვავილნიც. უნივერსიტეტებში კათედრები ცარიელი აღარ იქმნება. კათედრებზე გაჩნდებიან ჭეშმარიტნი მსახურნი მეცნიერებისა».

---

## თეატრი და ხელოვნება

—

სახაზინო თეატრი. ოპერა. გიუდე-მოპასანს აქვს დაწერილი მშვენიერი მოთხრობა «მადმაზელ ფიფი». ეს მოთხრობა პაწია, მაგრამ ცხოველ მყოფელი სურათია, რომ დიადი გრძნობა მამულიშვილობისა გაუქრობელ კანდელივით ანთია ყველა ადამიანის გულში, რა წრისა და რა ზნისაც უნდა იყოს იგი. ეს ამბავი ეპიზოდია ფრანგთა და გერმანელთა შორის მომხდარ უკანასკნელ ომისა: ერთ მიყუებულ ადგილას, სადაც გერმანელთა ჯარი დაბანაკებული, რამდენიმე აფიცერნი ახლო ქალაქიდგან ქალებს დაიბარებენ შესაქცევად და გართობად. ქეიფობის დროს ერთ-ერთი ამ ქალთაგანი—რახილი—ვერ აიტანს პრუსიელ ახალგაზრდა აფიცრის ოხუნჯობას დამარცხებულ საფრანგეთის შესახებ და ცეცხლმოკიდებული გამოეკამათება მას. სხვათა შორის, ქალი ეუბნება: «შენ თამამად შეგიძლიან დაგვცინო, რადგანაც აქ არ არიან ფრანგნი მამაკაცნი, რომელთაც შეეძლოთ პასუხი გაგცენო». პრუსიელი აფიცერი იმავე მქირდავის კილოთი ეუბნება: —მე კი არსად შემხვედრიან მაგისთანანი... ყველანი გარბიან ჩვენს დანახვაზედ... მთელი საფრანგეთი, მისის ბუნებით, ქალითა და კაცით ჩვენ გვეკუთვნისო... მაშ, თუ ეს ასე არ არის, შენ ამ ჟამად აქ რას აკეთებ... რა გინდა ჩვენთანაო... ქალი უპასუხებს: მე ფრანგის ქალი კი არა ვარ, ზნე-დაცემული დედა-კაცი ვარ, საკუთარის სხეულის გამყიდველი... ყოვლის გზით შესაფერი შენისთანა მყრალ პრუსიელისაო... ამაზედ უხეში და თავ-მოყვარეობით გაბერილი პრუსიელი სილას გაარტყამს რახილს, რომელიც ხელს სტაცებს დანას და გულს გაუგმირავს შეურაცმყოფელს.

აი, სწორედ ამ ქარგაზედ არის ხელოვნურად მოქსოვილი მოპასანის მიერ სურათი მკვდრეთით აღდგენილ გრძნობისა ზნეობრივად დაცემულ ადამიანის არსებაში. ამავე ტემაზედ არის დაწერილი ერთ-მოქმედებიანი ოპერა ცეზარ კიუისა. ლიბრეტტო კარგად არის შედგენილი და ფართო მოედანი ეძლევა მემუსიკეს, მადლით სავსე ჰანგებში ჩამოასხას მოქმედთა სიტყვა-პასუხი, სულიერი ვითარება. მაგრამ ამ მხრივ ოპერა მოისუსტებს. იქ, სადაც ძლიერი გრძნობაა გადმოსაცემი,—მაგალითად, რახილის სიმღერა, რომელიც გლოვის ზარს უნდა ჰგავდეს აოხრებულ სამშობლოს სვე-ბედის გამო,—სულ უფერულია, უსიცოცხლო. დანარჩენი თვალსაჩინო ადგილები რეჩიტატივებია, რომელიც მაგრე რიგად ღრმა შთაბეჭდილებას ვერ იწვევს მსმენელის არსებაში. კოხტაა და შნოიანი პაწია სიმღერა ქალებისა („წითელი წუღა“), რომელიც სათამაშო ჰანგისებურია. თავისებურის, ტლანქის ხასიათისაა სიმღერა ოფიცერთა «დიდება გერმანიას»,—როგორადაც დამახასიათებელი გამარჯვებით გათამამებულის ადამიანის ზვიადობისა.

დონსკოის არტისტებმა კარგად შეასრულეს შაბათს, 30 ოკდომბერს, ეს ოპერა. სამაგიეროდ, მათ ვერ შეუშვენევიათ როსინის მმოძრავი, სხივოსანი და გრაციით აღსავსე მუსიკა, რის გამოც იმავე შაბათის წარმოდგენაზედ «სევილიელი დალაქი» მეტის-მეტად სუსტად და უფერულად იყო ნამღერ-ნათამაშევი.

წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო.

---

## ნ ა რ ე ვ ი

—

კაცთმოყვარე დოსტაქარი. ფრანგული გაზეთი «ლიბერტ»-ი შემდეგს ანეგდოტს მოგვითხრობს ერთის დოსტაქრის შესახებ, რომელმაც მეტად უცნაური კაცთმოყვარეობა გამოიჩინა. დოსტაქარი ერთს ქალს ოპერაციას უკეთებდა; საოპერაციო ოთახში ქმარიც იმყოფებოდა. ექიმმა ქალი დააძინა, გაუჭრა მუცელი და ერთბაშად შემდეგი განაცხადა:

— ეს ოპერაცია ბევრად უფრო მძიმეა, ვიდრე მე თავდაპირველად მქონდა წარმოდგენილი. ამიტომაც ჩემი ჰონორარი უნდა გამიორკეცოთ.

საბრალო ქმარი საშინლად ათრთოლდა და აკანკალებულის ხმით მიუგო:

— ყველაფერს მოგართმევთ, ექიმო, ოღონდაც ოპერაცია მალე გაათავეთ.

დოსტაქარი მაინც თავისას არ იშლიდა და ჩვეულებრივის კილოთი ამბობდა:

— მე კარგად მოვიფიქრე და გარდავსწყვიტე, ეხლავე მივიღო ფული.

— ღვთის გულისათვის, ექიმო!

— მე თქვენ გეუბნებით: ეხლავე-მეთქი!—საბრალო ქმარი ხელებს მაღლა სწევს და სასოწარკვეთილი ბუტბუტებს:

— გეფიცებით, ექიმო, თქვენის თხოვნის ეხლავე დაკმაყოფილება ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ყუთის კლიტე, სადაც ფულები მაქვს შენახული, ჩემს ცოლს აბარია.

— მაშ თუ ასეა, მე ეხლავე გამოვაღვიძებ თქვენს ცოლს.

და კაცთ მოყვარე ექიმი შეუდგა მუცელ გაჭრილ ქალის გაღვიძებას.

---

## წ ე რ ი ლ ი
### რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი მ ა რ თ

—

ბატონო რედაქტორო!

«ივერიის» 249 ნომერში დაბეჭდილი წერილი პატივცემულ ი. გოგებაშვილისა «ნაციონალური საჩუქარი», იმედია, დიდ თანაგრძნობას გამოიწვევს ქართველ საზოგადოებაში.

მე ჩემის მხრივ საყვარელ აკაკის თანხის სასარგებლოდ გადამიდვია ოცდა ხუთი მან. (25 მან.), რომელიც გადაეცემა მომავალ კომიტეტს.

ამ კომიტეტს უნდა დაევალოს, გამოაცხადოს შემოწირულ ფულის ანგარიში ყოველ შაბათობით ქართულ გაზეთებში.

ქართულ გაზეთების რედაქციებმა, ჩემის აზრით, უნდა შემოიღონ გაზეთებში განსაკუთრებული განყოფილება შემდეგის სათაურით: „ნაციონალური თანხა აკაკის სასარგებლოდ“.

ბ-ნ ი. გოგებაშვილის მიერ დასახელებულთა გარდა, კომიტეტის წევრებად მე, ჩემის მხრივ, ვასახელებ კიდევ ექიმს გ. დ. გაბაშვილს და ნაფიც ვექილს ი. ს. ჯაბადარს, რომელნიც, იმედია, დიდის სიამოვნებით იკისრებენ ამ საქმეს. კომიტეტის თავმჯდომარედ უსათუოდ უნდა ამორჩეულ იქმნას ბ-ნი ი. გოგებაშვილი, როგორც დიდად პატივცემული ჩვენი მოღვაწე და ამ კეთილის საქმის ინიციატორი.

ქ. დ. მ.

II

ბ-ნო რედაქტორო!

თვენის პატივცემულ გაზეთის მე-242 №-ში დაბეჭდილია ჩემი წერილი აჭარიდგან, რომელშიაც, სხვათა შორის, თქმულია: ...«რაკი მაქსიმოვის ქარხანა გაუქმდა»... და სხვა...

სასურველია და, სხვა და სხვა შაირების ასაცდენად, საჭიროა კიდეც, ჩვენის აზრით, რომ მოხსენებულიყო «ქარხნის» მაგიერად: „ჩხალთის განტორა“ და სხვა, თორემ, ქარხნები სოფ. აძიუბჟაში, ზაფხულში შეკეთების შემდეგ, ეხლა გაცხელებულ მუშაობაშია და თავის სამოცდა სამი ათასი ხეები გაის ამ დრომდე ეყოფა სახერხად.

ა. ტ.

---

## დ ე პ ე შ ა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

დილის დეპეშები.

30 ოკდომბერი.

**სოფია.** საერო კრებაზე სეფე-სიტყვის საპასუხოდ პირველად ილაპარაკა დეპუტატმა მიხაილოვსკიმ. ორატორმა მოითხოვა, რომ ბულგარიის საგარეო პოლიტიკა სლავიანთა სოლიდარობაზე იყოს დამყარებულიო. შემდეგ სთქვა, უტაქტობაა მთავრის მიერ ინგლისის მეფის ნახვა იმ დროს, როდესაც რუსეთს ომი აქვს შორეულ აღმოსავლეთშიო. მიხაილოვსკის მეტად მიაჩნია, ბულგარიას აგენტები ჰყავდა რომსა, ბერლინსა და ლონდონში.

**კოვნო.** ხმა გავრცელდა, ვითომ ვილკომირში არეულობანი მომხდარიყოს სათადარიგო ჯარის კაცთა გაწვევის დროს. გაუწყებთ, რომ მხოლოდ თითო-ოროლა მთვრალებმა მოახდინეს უწესოებანი. დაზარალდა ერთი ლუდხანა. დააზარალეს აგრეთვე ორი მაღაზია. თვით ჯარის-კაცნი ურჩევდნენ ამხანაგებს, უწესოებანი არ ჩაედინათ. დროზედ მიღებულ ღონისძიებით წესიერება აღდგენილ იქმნა. ზოგიერთ დაბების ებრაელმა მცხოვრებლებმა გუბერნატორს მადლობის დეპეშები გაუგზავნეს უწესოების თავიდან ასაცილებლად. განკარგულების დროზედ მოხდენისათვის ნოვოალექსანდროვის მაზრაში კარგად დამთავრდა ჯარის სამარ ფეხზედ დაყენება.

**პორტ-საიდი.** რუსის სახედრო გემებს ნება მიეცათ წაიღონ იმდენი ნახშირი და სურსათი, რაც შემდეგ ნავთსადგურამდე დასჭირდებათ. მიღებულია, ღონისძიებანი რომ არხი სწრაფად გაიარონ.

**სული.** საბჭომ დაადგინა, ადგილობრივ სასწავლებში დააწესოს ათი სტისტიპენდია შორეულ აღმოსავლეში მოკლულთა შვილებისათვის.

**სტამბოლი.** რუსის გემებმა «იუპიტერ»-მა და «მერკურიმ»-მ გაიარეს სრუტე. გემებს ნახშირი მიაქვთ ბალტიის ესკადრისათვის.

**კიევი.** კიევის გუბერნიის 28 თავადაზნაურს განცხადება გადაუცია გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისათვის და სურვილი გამოუცხადებია, უფასოდ შეინახოს ბრძოლის ველიდან გამოგზავნილი ავადმყოფი და დაჭრილი მხედრები. 268 კაცისთვის უთმობენ ბინას, ექმხებათ საჭმელი, თეთრეული და ყველა საჭირო მასალა. პეჩორის დიდი მონასტერი უფასოდ უთმობს მოსულ მლოცველთა დასაბინავებელ სახლს 129 აფიცრისათვის: უთმობს აგრეთვე სადგომს 16 სამხედრო საავადმყოფოს სამკერვალოსა და კანცელარიის გასამართავად.

**ნიუ-ჩუანი.** ყოველ დღე მოდის 10—15-მდე დიდი გემები ჯარებითა, სამხედრო მასალითა და სურსათით დატვირთული. უკანასკნელად იიამას ჯარს ნიუ-ჩუანიდან ორი დივიზია მაშველი ჯარი მოუვიდა.

**ლონდონი.** გამოცხადებულ იქმნა, რომ იაპონიას სურს ისესხოს 12 მილიონი გირვანქა სტერლინგი. ხელის მოწერა 4 ნოემბერს თავდება.

**პარიჟი.** ირწმუნებიან, იაპონიამ მიანდო თავის წარმომადგენლებს იმ სახელმწიფოებში, რომელთა ნავთსადგურებშიაც ბალტიის ესკადრამ გაიარა და უნდა გაიაროს, მიაქციონ მთავრობის ყურადღება იმას, რომ მათ მტკიცედ დაიცვან ნეიტრალიტეტი.

**ცინდაო.** აქ მცხოვრებ გერმანიის ქვეშევრდომთა მიერ შეძენილი გემი «ტალესი» ამ ჟამად იტვირთება პორტ-არტურისათვის. აქაურ გემის პატრონებმა ცნობა მიიღეს, რომ ამას წინად წასულმა გემებმა ვლადივოსტოკს მიაღწიესო. სარწმუნოდ იუწყებიან, რომ უკანასკნელ ორის კვირის განმავლობაში სხვა-და-სხვა მასალით დატვირთული რამდენიმე გემი მისულა პორტ-არტურში.

**ხუანშანი,** 30 ოკდ. (საავ. საკუთ. კორესპ.). 28 ოკდომბერს მთავარ-სარდალი და ადმირალი სკრიდლოვი პოზიციებზე იყვნენ.—31 ოკდომბერს გენერალი ლინევიჩი ჯარში მიდის.—ბრძოლის ველზე ჯერ კიდევ სიჩუმეა. იაპონელებს ლიაოიანში ბევრი ჩვენ-მიერ გაფუჭებული ზარბაზანი აქვთ.

**გომელი,** 31 ოკდომბრი. რადგან განზრახულია სათადარიგო ჯარის კაცთა გაწვევა, საბჭომ დაადგინა, იშუამგომლოს, რომ გაწვევის დროს სათადარიგო ჯარის-კაცნი მოათავსონ ყაზარმებში, ხოლო ქალაქში მყოფი პოლკი კერძო ბინებზე. საბჭომ დაადგინა აგრეთვე, მისცეს სათადარიგო ჯარის-კაცთ საკვები, გაატანოს თან საკვები ომში მიმავალ აფხაზეთის პოლკს; ითხოვოს, რომ წესრიგის დასაცველად ქალაქში ჩააყენონ ასი ყაზახი. ხარჯს, 6,000 მანეთს, გაიღებს ქალაქი და შეიკრიბება კერძო შემოწირულებით. ებრაელებმა განაცხადეს, 60% ჩვენ გავიღებთო.

**დეკარი,** 30 ოკდომბერი (რეიტერი). გაიარა ბალტიის ესკადრის ოთხმა ჯავშნიანმა გემმა, ხუთმა კრეისერმა და შვიდმა ბარგის გემმა.

**სუდა,** 30 ოკდომბერი (რეიტერი). მოვიდა გერმანელთა ორი სატრანსპორტო გემი და თავისუფალ ფლოტის გემი «კიევი».

**მინსკი.** გზათა სამინისტრო მინსკში აარსებს მუდმივ ბიუროს პურის გაგზავნის საქმის მოსაწესრიგებლად.

**პეტროკოვი.** ჩენსტოხოვში ვიღაც უცნობა კაცმა მძიმედ დასჭრა პოლიცმეისტერი ნერლიხი. დამნაშავეს დაეძებენ. დაჭრილი საშიშ მდგომარეობაში.

**რიაზანი.** ოლქის სასამართლომ დაამთავრა განხილმა იმ საქმისა, რომლითაც 83 კაცს სკოპის სექტის გავრცელება ჰბრალდებოდა. საქმე ხალხის დაუწსრებლად ირჩეოდა ექვს დღეს. 65 კაცს გადასახლება გადაუწყვიტა სასამართლომ და 18 გაამართლა.

**კოვნო.** როგორც როსიენის მაზრიდან იუწყებიან, იქ მუშებს მოუკლავთ მდიდარი მემამულე ბარონი რეკკე. მკვლელობის მიზეზი ისა ყოფილა, რომ მუშები შეკრებილან დროს გასატარებლად, ბარონს-კი ნება არ მიუცია.

**პრეტორია,** 28 ოკდომბერი. (რეიტერი). მეფე ედუარდმა სურვილი გამოსთქვა, როდესაც კრიუგერის გვამს კაპშტადტსა და პრეტორიაში მიასვენებენ, იმდენჯერ დასცალონ ზარბაზნები, რამდენიც მეფის გვამის პატივსაცემად არის მიღებულიო. დასაფლავების დროსაც უნდა დასცალონ ზარბაზნები.

**ბერნი.** გერმანიასთან დადებულ ახალ სავაჭრო ხელ-შეკრულობას ხელი მოაწერეს 30 ოკდომბერს.

**ვაშინგტონი.** შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ ამიერიდანაც გეი დარჩება გარეშე საქმეთა მინისტრადაო.

**მუკდენი,** 31 ოკდომბერი (საავ. საკ. კორ.). მარჯვენა ფრთეზე დილიდანვე ცხარე სროლაა. ისვრიან დიდისა და ველის ზარბარნებით, მაგრამ საეჭვოა, რომ იაპონელებმა გამოილაშქრონ. — ჩვენს ფულს კარგი ფასი აქვს. მცხოვრებნი კვლავინდებურად წყნარად არიან. მუკდენში ბევრი მოდის სამხრეთიდან; ესენი გადმოხიზნულნი არიან. — 29 ოკდომბერს ბაიკალის შემოსავლელ გზით კულტუკიდან მოვიდა ციმბირის პირველი სამხედრო-სასანიტარო მატარებელი დიდის მთავრინის ანასტასია ნიკოლოოზის ასულის სახელობისა. მატარებელში 35 ვაგონია დაჭრილებითა და ავადმყოფებით.

**პეტერბურგი.** უმაღლესად ნაბრძანებია, რომ ციმბირის გზაზე მიმოსვლის დასაჩქარებლად შესაფერ ადგილებში დაგებულ იქმნას მეორე ლიანდაგი.

**ვიტებსკი,** 31 ოკდომბერი. ხელმწიფე იმპერატორმა ორას-ორასი თუმანი უბოძა დვინსკისა და ვიტებსკის მცხოვრებთ და ბრძანა, სამის დღით გაანთავისუფლონ მოსწავლენი სწავლისაგან.

**ცეტინიე.** ჩერნოგორიის მთავარი მიწვეულ იქმნა იტალიის მემკვიდრე პრინცის ნათლიად. მთავარი ამ ცოტა ხანში წავა რომს.

**მოსკოვი.** რუმიანცევის მუზეუმმა 11,500 მანეთად შეიძინა განსვენებულ აკადემიკოსის ტიხონრავოვის წიგნთ-საცავი და ხელთნაწერთა კრებული.—სტროგანოვის სასწავლებელთან დაარსდა სასულიერო მხატვრობის სკოლა.

**ბუქარესტი.** ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, სიმართლეს მოკლებულია ის ხმები, ვითომ გაუქმებულ უნდა იქმნას ბრძანება, რომლის ძალითაც აკრძალულია სიმინდის გატანაო. სიმინდის გატანას აკრძალვენ მომავალ წლის მოსავლამდე.

**ვაშინგტონი,** 30 ოკდომბერი. (რეიტერი). საზღვაო მინისტრს მორტონს აზრადა აქვს მოსთხოვოს კონგრესს ფული საზღვაო აფიცრებისა და მატროსების რიცხვის გასამრავლებლად.

**სოფია,** 30 ოკდომბერი. საერო კრებაზე სამმა დეპუტატმა ილაპარაკა. ლოპტევმა სიხარული განაცხადა იმის გამო, რომ ეხლანდელი სამინისტრო ბულგარიის საგარეო პოლიტიკას აფართოვებს. ორატორმა თანაგრძნობა გამოუცხადა რუსეთს და მოიწონა სამინისტროს მეცადინეობა სერბიასთან დასაახლოვლებლად. შემდეგ ორატორი შეეხო ოსმალეთ-ბულგარიის კონვენციას და აღნიშნა, რომ მთავრობამ არა სთხოვა კრებას თანხმობა, ამიტომ კონვენციას ძალა არა აქვსო. პეშევმა აღნიშნა, რომ ბულგარიაში სიწყნარეა, რადგან შიში არ არის სტამბულოვის მომხრეებისაო სამაგიეროდ, ყველას აშინებს იმ გარემოება, რომ მთავარი საქმეებში ერევა. მთავარი კონსტიტუციის წინაამდეგ იქცევა, მთავრის სურვილითვე ამ ჟამად ბულგარიაში არაა პოპულიარული მთავრობაო. დანევმა ილაპარაკა მაკედონიის ავტონომიაზე.

**პეტერბურგი.** 31 ოკდომბერს, 9 საათსა და 30 წუთს, მობრძანდა ცარსკოე სელოში ხელმწიფე იმპერატორი და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს-ძე. მობრძანების დროს ცარსკო-სელსკის სადგურის პავილიონში შეიკრიბნენ გზათა მინისტრი, მისის უდიდებულესობის ამალის უფროსი, პეტერბურგის გუბერნატორი და სხვანი. ხელმწიფე იმპერატორი სადგურიდან სასახლეში მიბძანდა. დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე საიმპერატორო მატარებლიდან გადაბძანდა სადგურ გატჩინოში.

**სტამბოლი,** 31 ოკდომბერი. ინგლისის წყაროიდან გავრცელებულს ხმას, რუ-

სეთს უნდა პორტის თანხმობა, რომ შავის ზღვის ესკადრის ნაწილი გაატაროს დარდანელში, ორთავე ხმა უარსჰყოფს.

**ხარკოვი**, 31 ოკდომბერი. აქ მოვიდა საერო განათლების მინისტრი.—ღამე პუშკინის ძეგლთან აფეთქება მოხდა რაღაც ყუმბარისა. აფეთქებას ქუხილის ხმა ჰქონდა; გამოძიებაა. არავინ დაზარალებულა.

**დაძიაპუ**, 30 ოკდომბერი (საკ. კორესპონდენტ.). დღეს მთელი დღე მე-4 და 10-ე კორპუსების ფრონტზე ზარბაზნის სროლა იყო, რომელიც შესწყდა ბინდისას. უფრო მეტი ესროლეს სოფ. შალამჩას.

**სტამბოლი**, 31 ოკდომბერი (ბიურო). რამდენისამე დღის შემდეგ სრუტეებზე გაივლის ორი უკანასკნელი რუსის გემი, რომელსაც ნახშირი და წყალი მიაქვს ბალტიის ესკადრისათვის.

**დაკარი**, 30 ოკდომბერი. (ჰავასი). რუსის ესკადრაში, ადმირალ როჟესტვენსკის უფროსობით, რომელიც იდგა დაკარსა და რუფიკს შორის, არის ჯავშნიანი გემები: «თავადი სუვოროვი», ალექსანდრე III», «ბოროდინო» და «ოსლიაბია»; კრეისერები: «ადმირალი ნახიმოვი», «დიმიტრი დონსკოი» და «ავრორა»; ტრანსპორტები: «კამჩატკა», «ანადირი», «მალაია», «კორეია» და «მეტეორი» და საზღვაო ლაზარეთი «არიოლი». ესკადრასთან არის სასურსათო და სანახშირო გემი «მენცელი».

**ტოკიო**, 30 ოკდომბ. (რეიტერი). სამხედრო გადასახადთათვის შემუშავებულ კანონის პროექტი, რომელიც მთავრობამ უნდა წარუდგინოს პარლამენტს, ის არის, რომ მოემატოს ბაჟი სხვა და სხვა საქონელს, უცხოეთიდან შემოსულს 1.500,000 იენამდე.—გარეშე სესხის პირობათა წუნის დამდებთ საპასუხოდ ფინანსთა მინისტრმა სთქვა, რომ მთავრობასაც არ მიაჩნია ეგ პირობანი ხელ-საყრელადაო. პორტ-არტურის აღების დაგვიანებამ და ბალტიის ესკადრის წამოსვლამ ხელი შეუშალა მოლაპარაკებას და გვაიძულა ნაკლებ ხელ-საყრელი პირობანი მიგვეღოვო.

**პეტროკოვი**. ახალის მობილიზაციით მოწოდებულნი სათადარიგო ჯარის კაცნი 1887 და 1889 წლის ვადისანი თავ-თავიანთ სახლში ბრუნდებიან. ეს გარემოება უმსუბუქებს ქალაქებისა და სოფლის საზოგადოებათ მძიმე საქმეს სათადარიგოთა ღარიბ ოჯახების დახმარებისა და შემწეობისას.

**ბელგრადი**. სამხედრო სკოლის რამდენიმე შეგირდი, უკმაყოფილონი სამოციქო გაზეთის წერილით, შევიდნენ რედაქციაში და აიკლეს იქაურობა. პოლიცია ჩაერია საქმეში, შეგირდები გაჰფანტა და წესიერება აღდგენილ იქმნა. შეგირდები დააპატიმრეს და სასტიკად იქმნებიან დასჯილნი. ხვალ შეიკრიბება სკუპჩინა ამ საქმის განსახილველად.

**სოფია**. მინისტრთა საბჭოს კრებაზედ მსჯელობდნენ ას მილიონ სესხის საბოლოვო პირობათა შესამუშავებლად. ასიანი ქაღალდი ეღირება 82 მან. და სარგებელს 5 მანათს შემოიტანს. პარიჟის ბანკი თხოულობს დიდს ავანსს კრეზოს ზარბაზნების სყიდვისათვის და განსაკუთრებულ კონტროლიერის დანიშვნას იმ მარკების გასყიდვის სქმეში, რომელიც სესხის გარანტიად იქმნება გამოცემული. ხმა გავრცელდა, რომ ბოლგარიის ბანკიც მიიღებს მონაწილეობას ამ სესხის საქმეში და აიღებს 25 მილიონის ქაღალდებს. ეს ფული უკვე მისცა ბანკმა მთავრობასაო. ამ სახით, მთავრობას ცოტა-ღა ერგება სესხით აღებულ ფულიდან და საჭირო შეიქმნება კიდევ ხელ ახლად ისესხოს ფულიო.

**ტრიესტი**. იტალიელი საზოგადოებათა წარმომადგენელების კრებამ ავსტრიაში ეთხმად გადასწყვიტა, გამოვაცხადოთ პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ იტალიელებს თავს დაესხნენ ინსბრუკშიო. კრებამვე გადასწყვიტა, მოვითხოვოთ, რომ ტრიესტში უნივერსიტეტი დაარსდეს იტალიელებისათვისაო.

### საღამოს დეპეშები.

1 ნოემბერი.

**დაძიაპუ**, 31 ოკდომბ. მანჯურიის პირველ ლაშქრის უფროსი გენერალი ლინევიჩი მივიდა მისდამი რწმუნებულ ჯარში.

**მუკდენი**, 30 ოკდომბ. (რეიტერი). ცვლილება არა მომხდარა-რა. არტილერიათა ბრძოლა სწარმოებს და უფრო მწვავდება სამხრეთ-დასავლეთად.

29 ოკდომბერს იაპონელებმა ყუმბარები დაუშინეს რუსის პოზიციებს; რუსებმა არ უპასუხეს.

30 ოკდომბერს, შუადღისას, რუსთა მარჯვენა ფრთეზედ ორივე მხრით გაცხარებული საარტილერო ბრძოლა იყო.

**ლონდონი**. კუროკის ლაშქარში მყოფი «რეიტერის სააგენტოს» კორესპონდენტი იუწყება, რომ 31 ოკდომბერს რუსის ჯარები შახედგან ჩრდილოეთად იდგნენო. ყუმბარებმა იაპონიის ბევრი ვერაფერი დააკლო.

**ტოკიო**. (რეიტერი). იაპონელთა ჯართა მთავარ-ბანაკიდგან მიღებულ დეპეშის თანხმად, მარცხენა ფრედის შუაგულ ნაწილს რუსებმა შეუტიეს ვუჩენტაიდგან 28 ოკდომბერს, ღამით, მაგრამ იაპონელებმა უკუ-აქციეს.

27 ოკდომბერს სიაოციტუსაკენ გამოჩნდა რუსის რაზმი, 300 ცხენოსანთა და 200 ქვეითაჯარის კაცთაგან შემდგარი, მაგრამ იაპონელთა რაზმმა უკუ აქცია.

**ტოკიო**. (რეიტ.) ოკუს ლაშქარში მყოფნი სამხედრო ატაშენი შეერთებულ შტატებისა; მაიორი კუნი და კაპიტანი კორრისონი მოვიდნენ აქ და მიდიან ვაშინგტონს. შახესთან მომხდარ ბრძოლის შემდეგ ისინი წასულან პორტ-არტურისაკენ, რომ ენახათ იაპონელთა ბრძოლა. ბრძოლის ველის საქმეთა მდგომარეობაზედ არას ამბობენ და მიემგზავრებიან 6 დეკემბერს (?) სან-ფრანცისკოში.

**ინკოუ**, 1 ნოემბერი. (რეიტერი). გუშინ დაიწყო არტიილერიის სროლა მთელის იაპონელთა ჯარის შუა გულზედ, მაგრამ ჯარები ჯერ არ დაძრულან.

**ჩიფუ**. (რეიტერი. აქაურნი მოხელენი იაპონიისა ოპტიმისტურად უყურებენ პორტ-არტურს და მოელიან შობამდე მისს დამხობას.

**ალჟერი**, 30 ოკდომბერი. (რეიტ.). ინგლისის გემ «ანტვერპენ სიტი»-დგან იუწყებიან, რომ 25 ოკდომბერს, გიბრალტარიდგან 30 ვერსის მანძილზედ ჩრდილოეთით, ეს გემი შეჰხვედრია ბალტიის ფლოტის 11 გემს, რომელნიც აღმოსავლეთისკენ მიდიოდნენო.

**კანეია**, 1-ლი ნოემბერი. (რეიტერი). რუსის ესკადრის დაზიანებულ გემებს დაუწყეს შეკეთება. ესკადრა სარგებლობს ადგილობრივ მუშებით.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**.
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი**.

---

## გამოსადეგი ცნობანი:

### პეტერბურგის ბირჟა

29 ოკდომბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,60 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,35 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | 37,52½ |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 91⅞ ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 89½ ნ. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 415¾ ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 318 წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 265¾ წ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |

### საავადმყოფოები:

**ქალაქის სახაზინო საავადმყოფო**,—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო**—მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა, ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვიჩი

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა**.—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

**კუკიისა**—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

**თვალების სამკურნალო**—კრილოვისა და ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას. სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ექიმი ქალი პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის**—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის** საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

**ქალაქის უფასო ღამის თავშე-საფარი სახლები:**

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა

---

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

ამ წლის 15 ოკდომრიდან.

(ფრჩხილებს გარეთ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

#### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბაქოს**: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 21 წ. (6 ს. 19. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

**ბათუმს**: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.). 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

**ერევანსა და ყარსს**: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

**ბორჯომს**: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

#### ტფილისში მოდის:

**ბაქოდან**: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); საქ. და სამგზ. № 17 საღამოს 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

**ბათუმიდან**: საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.): სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

**ერევან-ყარსიდან**: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

**ბორჯომიდან**: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

#### ბ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ**: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5. შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.)

#### გ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

#### დ) ქუთაისიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

---

## განცხადებანი




**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**

**„ოდონტინი“ მ. კ. ლებედევის“**

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში —საფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(0—6—16)

Ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვა და დამშვიდებული იყვეთ **იაიდევით**, მარტო 4 მან. 90 კაპ., საიუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი **„ენდოლიანსი“**, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. **„ენდოლიანსი“** ანიშნებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხებს კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი **„ენდოლიანსი“**, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრეთვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

**„ენდოლიანსი“** საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დაღებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მან. ბეთ. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.

**განსაკუთრებითი ნაწარმოებია.**

(5—6—)

**ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში** დაიწყო მუშაობა. მიიღებენ შესაკერად

# კაბებს

ძლიერ იაფად, ოთხიდან ექვს მანეთამდე ფასონს.

იქვე, სახელოსნოს მეორე განყოფილებაში, მიიღებენ შესაკერად ყოველ გვარ **თეთრეულს**, **მეტკებს** და მოსაქარგად აბრეშუმს—ფერადის ძაფებით, მუთაქა ბალიშს და სხვ.

**ჭრა-კერვის** კურსებზედ მიიღებენ მოზრდილ ქალებს.

**მისამართი**: ვერა, მოსკოვის ქუჩა, № 6.

(4—344—4).



როიაილები პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები

მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

**ბ. მ. მირიმანიანისა.**

**МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО**

**Б. М. МИРИМАНЦАНЪ**

Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—21)

გამოვიდა და ისყიდება

# კატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში გ-ნ დავ. ნახუცრიშვლის (3—3)

**გამოვიდა და ისყიდება**

ახალი წიგნი

# უცხო სიტყვათა ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ.

წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს ერთ მანეთად.

ადრესი: книжная торговля Іос. Зах. Имедашвили, Георгіевская ул., домъ Арджеванидзе, противъ Александровскаго сада.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

# ნაწერები ს. მესხისა

ტ. 1. II+533 გვ.

ავტორის სურათით და ავტოგრაფით, გამოცემა ს. ფარცხალავასი. ფასი ერთი მ. უმთავრესი საწყობი «წ. კ. გამავ. საზოგადოებაში».

ს.-პეტერბურგის კომპანია

# „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

**დაარსებულია 1847 წელს**

| | |
|---|---|
| **მართადა თანხა** | **1.650.000 მან.** |
| **სათადარიგო თანხ** | **2.664.808 მან.** |

დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით ორხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას ასრულებს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350 ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, დანოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6—48)

Дозволено цензурою Тифлисъ 1 ноября, 1904 г.
Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи